ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2022 წლის 10 იანვარი

ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ნოემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ნოემბრის №29 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 01/01/2020; 010250050.35.143.016568) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი დანართი №1-ის სახით (თან ერთვის).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ნინო ლიპარტელიანი

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	რანგი	თანამდებობა	საშტატო ერთეული	თანამდე-ბობრივი სარგო (ლარებში)
		პოლიტიკური თანამდებობა		
1		საკრებულოს თავმჯდომარე	1	4510
2		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	3410
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	2970
3		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2420

4		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	2200
5		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	5	1760
		აპარატი		
6	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი	1	1650
7	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1320
8	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი საჯარო თანამდებობის პირი – უფროსი სპეციალისტი	4	1100